

საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, 1993წ., მუხ.187.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის პირველი, მე-2, მე-3, და მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს პოლიცია

1. საქართველოს პოლიცია (შემდგომში – პოლიცია) არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი სპეციალურ, პოლიციურ და გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

2. თავისი ფუნქციების განხორციელებისას პოლიცია წარმოადგენს სახელმწიფოს.

3. პოლიციის სისტემაში დასაქმებული პირები შეიძლება ატარებდნენ პოლიციის სპეციალურ წოდებებს ან სამხედრო წოდებებს.

4. აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირების შექმნა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციის საქმიანობაზე.

მუხლი 2. პოლიციის ამოცანები

პოლიციის ამოცანებია:

ა) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

ბ) პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ექვემდებარებილი და/ან ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დანაშაულობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება;

გ) საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

მუხლი 3. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, პრემიერ-მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.

2. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შუთანხმებებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პოლიცია თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებრივი წესრიგისა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პოლიცია თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან.

მუხლი 5. საჯაროობა პოლიციის საქმიანობაში

1. პოლიცია თავისი საქმიანობის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ფარგლებში, ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მოქალაქეებს.

2. პოლიციას უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივ პროფესიული, პირადი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებისა.

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პოლიციის საქმიანობა ეწყარება კანონიერების, პიროვნების, პატივისა და ღირსეულობის დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს.“

3. კანონიდან ამოღებულ იქნეს მე-6 და მე-7 მუხლები.

4. მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პოლიციის მოვალეობები

1. პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა:

ა) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეაცრად დაიცვას მოქალაქეების კანონიერი უფლებები.

ბ) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფოს სხვა ორგანოებს და მოქალაქეებს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება;

გ) მოქალაქესთან ურთიერთობის დროს ზუსტად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები;

დ) დაადგინოს დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების გამოძიებები მიზეზი და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად. გამოავლინოს, გამოიძიოს აღკვეთის დანაშაული;

ე) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დაკვირვების ელექტრონული საშუალებების (ტელეფონი, მიკროფონი, რადიოკავშირის სპეციალური ტექნიკა და კამერების სხვა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ელექტრონული ან მექანიკური მოწყობილობით გამომდევნდება დაფარული კავშირები ერთ-ერთი მხარის თანხმობის გარეშე) საქართველოში შემოტანის, გატანის, დამზადების და გამოყენების კონტროლი;

ვ) გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს სათანადო ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე იარაღით, საბრძოლო მასალით, ბირთვული და რადიოაქტიური, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით ვაჭრობა, დამზადება, შექმნა, შენახვა, ტარება, გამოყენება, გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა, ასევე განახორციელოს კონტროლი ტვირთის, სასროლეთების და სხვა ობიექტების გახსნისა და საქმიანობის წესების დაცვა;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შებამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, განსაკუთრებული მნიშვნელობის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უმაღლესი თანამდებობის პირების დაცვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

თ) განახორციელოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ი) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;

კ) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის შესახებ, დაუყოვნებლივ მოახდინოს მათზე რეაგირება, აწარმოოს სამართალდარღვევების და მათი ჩამდენი პირების აღრიცხვა;

ლ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაიწყოს წინასწარი გამოძიება და წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ აცნობოს პროკურორს;

მ) დაეხმაროს შესაბამის უწყებებს დაკარგული და გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის, სამხედრო ქონების მოძებნაში, აგრეთვე იმ პირთა მოძებნაში, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს;

ნ) შეასრულოს პროკურორისა და გამოძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებლო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებლო მოქმედების წარმოებისას;

ო) კანონით დადგენილი წესით აწარმოოს გამოძიება, დანაშაულში ექვმიტანილ, ბრალდებულ, განსასჯელ და მსჯავრდებულ პირთა ძებნა და დაკავება კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე, ასევე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები უგზო-უკელოდ დაკარგულ პირთა მოსაძებნად;

პ) ჩაატაროს ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევები ოპერატიულ-სამძებრო მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

ჟ) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

რ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს დადგენილი რეჟიმის, ხოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს – საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

ს) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს უზრუნველყოს სახელმწიფოს სამობილიზაციო-გამშვევი პუნქტებისა და ოპერატიულ-მმართველობითი შტაბების უსაფრთხოება და მზადყოფნა, აგრეთვე უზრუნველყოს პირადი შემადგენლობის სრული სამობილიზაციო მზადყოფნა;

ტ) მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას, ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმთავალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად;

უ) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულს, უმწეო მდგომარეობაში, აგრეთვე ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

ფ) განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და/ან ქონება საფრთხეშია;

ქ) მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვას, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალებები, გასცეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობები;

ღ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმების საფუძველზე, შესაბამის უწყებებთან ერთად მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

ყ) უზრუნველყოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები გენკალკვებულნი დახურული საქალაქთაშორისო სატელეფონო “მაღალი სიხშირის”, ასევე რადიო და სატელეგრაფო კავშირებით;

შ) აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამოძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

წ) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამოძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, ასევე მოსამართლის დადაგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ. უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და გადაგვანა საპატიმრო დაწესებულებაში;

ც) უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების, მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება;

ძ) განახორციელოს დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

წ) განახორციელოს გადაუღებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დასაცავად, ვიდრე ქონება არ გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს ან მესაკუთრეს;

ჭ) უზრუნველყოს ნაპოვნი ან ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობებისა და სხვა ქონების დაცვა და/ან შენახვა. მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისთვის მათი გადაცემისთვის ან დადგენილი წესით რეალიზაციისთვის;

ხ) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ბავშვთა მანანწალობის, უმთავრესობის თავიდან აცილებასა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკაში;

ჯ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს საარჩევნო პროცესისა და მასში მონაწილე პირთა უსაფრთხოება;

პ) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

მუხლი 9. პოლიციის უფლებები

1. პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს:

ა) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება კანონმდებლობით პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებში და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოების და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობათა გარდა, რომლებიც დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ) დანაშაულის აღსაკვეთად და/ან იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში;

გ) შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

დ) სამედიცინო დაწესებულებაში შესამოწმებლად წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის შედეგად, საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ; შეინახოს მისი ნივთები და დოკუმენტები, რის შესახებაც შეადგინოს სათანადო ოქმი;

ე) აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე მშვიდობიანი აქცია, თუ იგი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, პიროვნების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;

ვ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის, ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით, აკრძალოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

ზ) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს; სამართალდარღვევის

ჩადენის შემთხვევაში, გააჩეროს და დათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები, მიიღოს ზომები სამართალდარღვევათა აღსაკვეთად; მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, გააკონტროლოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვა, დადგინილი წესით ჩაატაროს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერება, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალება;

თ) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, ან რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაშია; თანამშრომელი მოვალეა ადგილზე შეამოწმოს ეს პირი და დაუყოვნებლივ წარადგინოს იგი სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში სიმთვრალის ზარისხის დასადგენად;

ი) დადგინილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საწარმოებზე, ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და მოქალაქეებზე გასცეს ნებართვა იარაღის, საბრძოლო მასალის შექნაზე, შენახვაზე, ტარებაზე, გადატანა-გადაზიდვაზე და გადაგზავნაზე; გააუქმოს ეს ნებართვა, კანონმდებლობით დადგენილი წესით; მისცეს თანამშრომლებს იმ საშსახურებრივ-სამშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვისა და ტარების ნებართვა, რომელთა გამოყენება დაშვებულია ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით;

კ) დადგინილი წესით გასცეს ტირის, სასროლეთის და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა; გააუქმოს ასეთი ნებართვა, თუ მისი მფლობელი არღვევს დადგენილ წესს;

ლ) გადაუდებელი აუცილებლობისას გამოიყენოს მოქალაქეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა კუთვნილი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები (ვარდა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, საკონსულოთა და უცხო ქვეყნის სხვა დაწესებულებათა, საერთაშორისო ორგანიზაციათა სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებისა); ამასთან, პოლიცია ვალდებულია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებების მფლობელებს აუნაზღაუროს გაწეული ზარჯი ანდა მიყენებული ზარალი;

მ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას დანაშაულის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობის საფუძველზე, საბაჟო სამსახურთან ერთად, ჩაატაროს მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება;

ნ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დანაშაულის და სამართალდარღვევითა დაკავების მიზნით, პოლიცია დასაზღვრულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში აწყობს რეიდებს; რეიდის დროს პოლიციას უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სპეციალური ტრანსპორტის გარდა);

ო) სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველითა და წესით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალების, ტვირთების შემოწმება და ჩხრეკა, მოქალაქის პირადი შემოწმება და პირადი ჩხრეკა;

პ) კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმართული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

ჟ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მთავრობის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსახეულის), ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერა, კინო- და ფოტოგადაღება, შედარებით გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება;

რ) მგზავრების პირადი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით, დადგენილი წესით, შეაფეროს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლა;

ს) გამოიყენოს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებისა მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი კონფიდენციალური დახმარება, რისთვის მათთან დაამყაროს ღია ან ფარული ურთიერთობა;

ტ) დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით;

უ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს მატერიალურ ფასეულობა დაცვა და დაცვის კონტროლი.

2. პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. გამოყენებული მეთოდები და საშუალებები არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღაზავდეს მის პატივს და ღირსებას, აგრეთვე აზიანებდეს გარემოს.“

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15¹, მე-15² და მე-15³ მუხლები:

„**მუხლი 15¹.** იმ პირის უფლებები და მოვალეობები, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით ითანამშრომლოს და დახმარება აღმოუჩინოს პოლიციას.

2. პირს, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას, უფლება აქვს:

ა) დადოს მასთან კონტრაქტი კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ;

ბ) პოლიციის თანამშრომლებისაგან მიიღოს განმარტებები თავისი ამოცანების, უფლებები და მოვალეობების თაობაზე;

გ) კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს პირადობის დამადასტურებელი დაშიფრულ დოკუმენტები;

დ) მიიღოს ანაზღაურება კონტრაქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ ზიანს კომპენსაცია, რომელიც მას მიადგა პოლიციისათვის დახმარების გაწვევისას.

3. პირი, რომელიც სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე დახმარებას უწევს პოლიციას, ვალდებულია:

ა) შეასრულოს დავალებები პოლიციის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად;

ბ) დაიცვას დადებული კონტრაქტის პირობები;

გ) განზრახ არ მიაწოდოს პოლიციას ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია.

4. პირი, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას, მისთვის განზრახ ყალბი ცილისმწამებლური ინფორმაციის მიწოდებისათვის, ამ კანონით დაცული იმ ინფორმაციის გამჟღავნებისათვის, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პოლიციასთან თანამშრომლობის დროს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 15². პოლიციის ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები

1. პოლიცია ამ კანონით და საქართველოს სხვა კანონებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და იყენებს ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.

2. პოლიციის მიერ გამოყენებულმა ოპერატიულ-ტექნიკურმა საშუალებებმა და მათ გამოყენების მეთოდებმა არ უნდა შელახოს პირის პატივი და ღირსება, საქართველო კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს.

3. ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15³. პოლიციის საინფორმაციო უზრუნველყოფა

1. პოლიციის საინფორმაციო უზრუნველყოფა ხორციელდება საინფორმაციო სისტემების შექმნით და გამოყენებით.

2. პოლიციის საინფორმაციო სისტემებში არსებული კანონით დაცული ცნობების მოქალაქისათვის გაცნობის საფუძველსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

6. კანონის მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. პოლიციის სისტემა

1. პოლიციის სამსახურები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში, ფუნქციონირებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო სატექნოლოგიური დაწესებულებების და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით.

2. პოლიციის ორგანიზაციასა და სტრუქტურას განსაზღვრავს დებულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.“

7. კანონიდან ამოღებულ იქნეს მე-17 და მე-18 მუხლები.

8. კანონის მე-19 და მე-20 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. პოლიციის თანამშრომელი

1. პოლიციის თანამშრომელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი.

2. პოლიციის თანამშრომლის ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

3. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თანამშრომელი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია.

მუხლი 20. თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი

1. პოლიციაში სამუშაოდ მიღებამან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები:

ა) რომლებსაც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები.

ბ) რომლებსაც მოხდელი აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახური, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განთავისუფლებული პირებისა.

გ) სამინისტროს სამხედრო სამსახურში ჩაირიცხებიან მოქალაქეები, რომლებიც გაივლიან დამატებით სპეციალურ შემოწმებას.

2. ვანსაკუთრებულ შემთხვევაში პოლიციაში შესაძლებელია 35 წელს გადაცილებული პირის მიღება მხოლოდ მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით.

3. ვანსაკუთრებულ შემთხვევაში პოლიციაში მიიღებამან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე, მიუხედავად მათი ასაკისა.

4. პოლიციაში არ მიიღება:

- ა) ნასამართლევი პირი;
- ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანით, ტოკსიკომანით, შიდსით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;
- გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ცნობილია ქმედუნარიად.“

9. კანონის 22-ე და 23-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის წესი

1. თანამშრომელი შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს:

- ა) განსაზღვრული ასაკის მიღწევისას ან წელთა ნამსახურობის გამო შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გაუქმების წესის მიხედვით;
- ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახინჩრების ან ქრონიკული დაავადებისას, რომლის გამოც აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;
- გ) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;
- დ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის;
- ე) რეორგანიზაციისას და/ან შტატების შემცირებისას;
- ვ) საკუთარი სურვილით;
- ზ) ფიცის გატეხის, თანამშრომლისთვის შეუფერებელი საქციელისთვის;
- თ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
- ი) კორუფციული სამართალდარღვევისათვის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
- კ) შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;
- ლ) შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებლობისთვის;

2. თანამშრომლის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი ან სამისოდ უფლებამოსილი პირი.

3. თანამშრომლები, რომლებიც კადრების განკარგულებაში იქნებიან აყვანილნი, განკარგულებაში აყვანის დღიდან ჩათვლებიან გაფრთხილებულად შესაბამის დათხოვნის შესახებ.

მუხლი 23. პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება

პოლიციის კადრების პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.“

10. კანონიდან ამოღებულ იქნეს 24-ე მუხლი.

11. კანონის 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 25. თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა

1. თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელისუფლების წარმომადგენელია და მას სახელმწიფო იცავს. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისათვის.

2. არაუადრეს არა აქვს უფლება ჩაერიოს თანამშრომლის სამსახურებრივ საქმიანობაში გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. თანამშრომლისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მუქარა, წინააღმდეგობის გაწევა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა, იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზღმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით. ამკარად უკანონო ბრძანების ან მითითების მიღებისას თანამშრომელი ვალდებულია მიიღოს ზომები კანონის შესასრულებლად.

5. თანამშრომელს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

12. კანონიდან ამოღებულ იქნეს 26-ე მუხლი.

13. კანონის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. თანამშრომელთა წახალისება

1. თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ხანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის მის წახალისებლად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
 - ბ) ერთდროული ფულადი ჯილდო;
 - გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
 - დ) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
 - ე) მორიგი წოდების ვადამდე მინიჭება;
 - ვ) დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
 - ზ) სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.
2. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.
3. თანამშრომლის წახალისება შეუძლია საამისოდ უფლებამოსილ პირს.
4. თანამშრომლის წახალისების წესს ადგენს მინისტრი.

მუხლი 30. თანამშრომლის პასუხისმგებლობა

1. თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულისთვის პასუხს აგებს საერთო წესით.

2. დანაშაულისთვის დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული თანამშრომელი თავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინგენტისგან იზოლირებულად.

3. სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისთვის თანამშრომლის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელები:

- ა) შენიშვნა;
 - ბ) საყვედური;
 - გ) სასტიკი საყვედური;
 - დ) სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
 - ე) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;
 - ვ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
 - ზ) სამსახურიდან დათხოვნა.
4. დისციპლინური სახდელების შეფარდების და მოხსნის წესს ადგენს მინისტრი.

მუხლი 31. თანამშრომლის სოციალური დაცვა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანამშრომლის სოციალურ დაცვას;
2. თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას;
3. თანამშრომლისათვის დადგენილია ორმოცდაერთსაათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე;

4. თანამშრომლის ხელფასი (ფულადი სარგოები) შედგება თანამდებობრივი წოდებისათვის დადგენილი სარგოებისაგან;

5. თანამშრომელს ხელფასის გარდა მიეცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატები და კომპენსაციები.

6. თანამშრომლები, სამსახურში მიღების დღიდან ნამსახურევი წლებისათვის შორის საჯარო სამსახურში იღებენ ხელფასზე (ფულად სარგოებზე) ყოველთა დანამატებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. თანამშრომელი შეიძლება აყვანილ იქნას კადრების განკარგულებაში არაუმოტივირებული. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მათ უნარჩუნდებთ ხელ (ფულადი სარგოები) ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, წესი ნამსახურების პროცენტული დანამატი და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არაუმეტეს ორი თვისა, ხოლო მომდევნო ორი თვის განმავლობაში მხოლოდ წოდებრივი სარგო და წელთა ნამსახურების პროცენტული დანამატი, თუ იქნა ამ დრომდე გათავისუფლებული.

8. პოლიციიდან დათხოვნილ თანამშრომლებს ეძლევათ ერთდროული დახმ: კანონმდებლობის შესაბამისად.

9. თანამშრომლის წლიური შევებულების ხანგრძლივობა 30 კალენდარული დღეა, თუ აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებში ან სხვა საჯარო სამსახურში მუშაობის 10 წლ სტაჟი; ხოლო 10 წელზე ზევით - 45 კალენდარული დღე;

10. ზიანი, რომელიც მიადგა თანამშრომელს მის მიერ სამსახურებრივი მოვალე შესრულებისას, სრულად უნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯე: სახსრებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თანამშრომლის დაღუპვის შემთხვე: მის ოჯახს (მემკვიდრეს) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთჯერადი ფუ: დახმარება არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) ათასი ლარის ოდენობით. დაკრძალვის ხარ: ანაზღაურებს სახელმწიფო.

12. თანამშრომელს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიზრების : დაინვალიდების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამ: კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 7 (შე: ათასი ლარის);

13. თანამშრომელს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის იყ: სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას, საწე: უარუნველყოფს სახელმწიფო, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგე: წესის შესაბამისად.

14. საქართველოს ტერიტორიაზე სამსახურებრივ მივლინებაში მყოფ თანამშრონ: უფლება აქვს, მივლინების მოწმობის საფუძველზე ურიგოდ შეიძინოს სამგზავრო ბი: ყველა სახის ტრანსპორტზე და ურიგოდ შესახლდეს სასტუმროში;

15. პოლიციის თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება მოქ: კანონმდებლობის შესაბამისად.

16. თანამშრომელსა და მისი ოჯახის წევრებს სახელმწიფო უზრუნველ: სამედიცინო მომსახურებით. სამედიცინო მომსახურების წესი და პირობები განისაზღვ: საქართველოს კანონმდებლობით.

17. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტ: გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, თანამშრომლისათვის შეიძლება დადგინდეს ამ კან: გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

14. კანონის 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, მის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საჭვეუწყებო დაწესებულებების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.“

15. კანონიდან ამოღებულ იქნეს 35-ე მუხლი.

16. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის X თავი:

თავი X. სახელმწიფო კონტროლი სამინისტროს საქმიანობაზე

მუხლი 36. საპარლამენტო კონტროლი

სამინისტროს საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ფორმები და მეთოდები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს პარლამენტის წევრებმა კანონით დაცული ინფორმაცია შეიძლება მიიღონ საქართველოს კანონმდებლობას შესაბამისად.

მუხლი 37. საპრეზიდენტო და სამთავრობო კონტროლი

1. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე.

2. სამინისტროს საქმიანობის სახელმწიფო პროგრამებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 38. სასამართლო კონტროლი

იმ საგამომიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარება, რომლებიც ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, დაიშვება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 39. საფინანსო კონტროლი

სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა.

მუხლი 40. საპროკურორო ზედამხედველობა

1. სამინისტროს საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით ახორციელებენ საქართველოს გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

2. მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც უწევენ ან უწევდნენ კონფიდენციალურ დახმარებას სამინისტროს, თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ მასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზაცია არ წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს.

მუხლი 2. კანონის ამოქმედება

1. ამ კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.
2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი